

დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისთვის

საკონტაქტო პირი: თეონა ყუფუნია, NDI საქართველოს
პროგრამის ხელმძღვანელი
(+995) 577 719134; tkupunia@ndi.org

12 ივლისი, 2013

NDI-ის კვლევის შედეგების მიხედვით, მოსახლეობა კვლავ მიიჩნევს, რომ არსებული ხელისუფლება მათთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს ახორციელებს, თუმცა პრიორიტეტული საკითხები უცვლელი რჩება

თბილისი – ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები დღეს გახდა ცნობილი. კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 62 პროცენტი, 27 პროცენტთან შეფარდებით, მიიჩნევს, რომ არსებული ხელისუფლება მათთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს ახორციელებს. ეროვნული მნიშვნელობის საკითხები უცვლელია. გამოკითხულთა 61 პროცენტი პირველ პრიორიტეტად დასაქმებას ასახელებს, ხოლო ტერიტორიული მთლიანობა და ხელმისაწვდომი ჯანდაცვა მეორე და მესამე ადგილებზეა გადანაწილებული 34 და 30 პროცენტით.

კითხვაზე მიიჩნევთ თუ არა თავს დასაქმებულად, გამოკითხულთა 32 პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა. აღნიშნული მონაცემი 4 პროცენტით აღემატება 2013 წლის მარტში ჩატარებული კვლევის მონაცემებს. 2013 წლის მარტის კვლევასთან შედარებით, იკლო იმ ადამიანების პროცენტულმა მაჩვენებელმა, ვინც მიიჩნევდა, რომ საქართველო სწორი მიმართულებით ვითარდება (58 პროცენტი, 2013 წლის მარტი) და მიმდინარე კვლევაში ეს მაჩვენებელი 45 პროცენტს შეადგენს.

კითხვაზე, არის თუ არა საქართველოში დემოკრატია, გამოკითხულთა 38 პროცენტმა უპასუხა „დიახ“, ხოლო 46 პროცენტმა – „არა“. თუმცა, გამოკითხულთა 65 პროცენტი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას გამოხატავს.

გამოკითხულთა 51 პროცენტი მიიჩნევს, რომ ყოფილი პრემიერ მინისტრის ვანო მერაბიშვილის დაკავება ძირითადად მიუკერძოებელი გამოძიების შედეგია, ხოლო 18 პროცენტი მიიჩნევს, რომ მისი დაკავება ძირითადად პოლიტიკური მოტივით არის განპირობებული.

რაც შეეხება 17 მაისი მოვლენებს, გამოკითხულთა 52 პროცენტი ამართლებს სექსუალური უმცირესობების უფლებების მხარდასაჭერი აქციის წინააღმდეგ ორგანიზებულ კონტრაქციას. ამავედროულად, გამოკითხულთა 51 პროცენტი მიიჩნევს, რომ კანონის წინაშე პასუხი უნდა აგოს ყველა იმ ადამიანმა, მათ შორის მღვდლებმა, ვინც სექსუალური უმცირესობების მხარდამჭერების წინააღმდეგ კანონსაწინააღმდეგო ქმედებები განხორციელებს.

„საქართველოს მოქალაქეებისთვის პრიორიტეტები არ შეცვლილა და უმრავლესობა მიიჩნევს, რომ არსებული ხელისუფლება მათთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს ახორციელებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს წინა კვლევასთან შედარებით, იკლო იმ ადამიანების პროცენტულმა მაჩვენებელმა, ვინც მიიჩნევდა, რომ საქართველოში ამჟამად დემოკრატიაა, გამოკითხულთა უმეტესობა პოზიტიურად არის განწყობილი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მიმართ“, - ამბობს NDI საქართველოს დირექტორი, ლუის ნავარო. „უმრავლესობა მიიჩნევს რომ ვანო მერაბიშვილის დაკავება ძირითადად მიუკერძოებელი გამოძიების შედეგია. უმრავლესობა აგრეთვე მიიჩნევს, რომ კანონის წინაშე პასუხი უნდა აგოს ყველა იმ ადამიანმა, მათ შორის მღვდლებმა, ვინც სექსუალური უმცირესობების მხარდამჭერების წინააღმდეგ განხორციელებს კანონსაწინააღმდეგო ქმედებები.“

კვლევა ამა წლის 12 ივნისიდან 26 ივნისის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 2,338 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე ჩატარდა ქართულენოვან მოსახლეობას შორის. მასში ასახულია მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, ასევე მოსახლეობის დამოკიდებულება დემოკრატის, რეფორმების და საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის საკითხების მიმართ. კვლევაში საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/- 2.9 %.

455 Massachusetts Avenue, NW, 8th Floor
Washington, DC 20001
(202) 728-5500
fax: (888) 875-2887
mail: contactndi@ndi.org
www.ndi.org

NDI-ის კვლევებს აფინანსებს შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტო (Sida) და ატარებს კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC).

-დასასრული-

NDI არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატიის განმტკიცებისა და გავრცელებისთვის მსოფლიოში. NDI მუშაობს დემოკრატიებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში, რათა გააძლიეროს პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე www.ndi.org